



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/140

23 ~~ფებრუარი~~ - 2015 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით დირექტორის  
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის  
სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ  
ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს  
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული  
მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და  
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და  
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8  
აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“  
ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ  
ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის  
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი  
ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური  
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).





გენერალური დირექტორი





ნიკოლოზ ანთიძე




დანართი

ბრძანება N 2/170

23.07 2015

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		გულბაათ ჭავჭავაძის საცხოვრებელი სახლი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფ. ვაზისუბანი	არქიტექტუ რის	XIX საუკუნის I ნახევარი
2.		ოფრეთის ოხარკი ხარაბას „ნახევრად ღია“ ეკლესია	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფრეთი	არქიტექტუ რის	XVIII-XIX საუკუნეები
3.		სადახლოს ხიდი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადახლო	საინჟინრო	გვიანი შუა საუკუნეები
4.		ბრდამორის „ნახევრად ღია“ ეკლესია	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბრდამორი	არქიტექტუ რის	XIX საუკუნე

5.		<p>მელიქაშენის დიდი (სამეკლესიანი) დარბაზული ეკლესია</p>	<p>მარნეულის რ-ნის სოფ. ხოჯორნის აღმოსავლეთით, ნასოფლარი მელიქაშენი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>VI-VII საუკუნეები</p>
6.		<p>მელიქაშენის მცირე დარბაზული ეკლესია</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოჯორნის აღმოსავლეთით, ნასოფლარი მელიქაშენი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>გვიანი შუა საუკუნეები</p>
7.		<p>სადახლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადახლო</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>გვიანი შუა საუკუნეები</p>
8.		<p>წოფის დარბაზული ეკლესიის ნანგრევი</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. წოფი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>შუა საუკუნეები</p>

9.		<p>ზაგამაჟამი "იოთ ვერქი" ღვთისმშობლის ეკლესია</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტი, დაბა შაუმიანი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>1844-1864 წწ.</p>
10.		<p>სახუნდარის ხარების სახელობის კომპლექსი</p>	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტალავერი (ყოფ. ფახრალო)</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XVII საუკუნის II ნახევარი</p>
11.		<p>სურბ კარაპეტის ეკლესია</p>	<p>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი განძა (ძვ. განძანი)</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>1850 წ.</p>